ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6424042

ნომერი: AR1960293

თარიღი : 11.04.2023

გაცემის თარიღი : 20.04.2023

გაცნობის თარიღი : 20.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 11 აპრილს №AR1960293 განცხადებით მომართა კობა მოდრეკილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 08

დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით №01.72.14.009.687 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261199 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 23 დეკემბრიდან 2025 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 08 თებერვლის №6319690 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ასევე, სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და გენ-გეგმა ჩანაცვლდა 2023 წლის 21 იანვარის №AR1945231 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით და გენ-გეგმით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში, კერძოდ, განმარტავს, რომ სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით ჩანაცვლებულ რამდენიმე გეგმაზე შეთანხმებულთან მიმართებით არასწორად არის დატანილი დიაფრაგმის აღნიშვნა. შესაბამისად ითხოვს შესწორებული გეგმების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებით ჩანაცვლებულ -1, 1, 2, 3 და 4 სართულების გეგმებზე 5-6 ღერძებში შეთანხმებულთან მიმართებით არასწორად არის დატანილი დიაფრაგმის აღნიშვნა (დაფერილია შავი ფერით). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი -1, 1, 2, 3 და 4 სართულების გეგმების ჩანაცვლება. ამასთან, წარმოდგენილ -1, 1, 2, 3 და 4 სართულების გეგმებზე ფართობები არ იცვლება და დატანილია სამსახურის 2023 წლის 08 თებერვლის №6319690 ბრძანებით ჩანაცვლებული გეგმების იდენტურად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -1, 1, 2, 3 და 4 სართულების გეგმები (სამსახურის 2023 წლის 08 თებერვლის №6319690 ბრძანებით ჩანაცვლებული გეგმების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი -1, 1, 2, 3 და 4 სართულების გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 დეკემბრის №6241655 და სამსახურის 2023 წლის 08 თებერვლის №6319690 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.